



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030447218703416

04-57/ო

10 / თებერვალი / 2016 წ.

**„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განცხადების ფორმისა და ბენეფიციართა რეეტრის ფორმირების ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 27 მაისის N04-156/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის N262 დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N670 დადგენილებით შესული ცვლილების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 19 მაისის N01-31/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჭერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 19 მაისის N01-31/ნ ბრძანებით დამტკიცებულ №1 დანართში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განცხადების ფორმისა და ბენეფიციართა რეეტრის ფორმირების ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 27 მაისის N04-156/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს 1<sup>1</sup> პუნქტი, შემდეგი რედაქციით:

„1<sup>1</sup> „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, დამტკიცდეს განცხადების ფორმა პირველ, მეორე, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის (რომლის ერთ-ერთი მშობელი მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირია) დაბადების გამო, ფულადი დახმარების მიღების შესახებ (დანართი N2)“.

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტს დაემატოს 2<sup>1</sup> პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2<sup>1</sup>. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის პირველი, მეორე, მესამე და ყოველი მომდევნო შვილის დაბადების გამო, ფულადი დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რეესტრის ფორმირება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) სააგენტო ს შესაბამისმა ტერიტორიულმა ერთეულებმა (რაიონული განყოფილებები და სოციალური მომსახურების ცენტრები), მოქალაქის მიერ სრულყოფილად შევსებული განცხადებები სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით შექმნილ/არსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში უნდა განათავსონ მომართვიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 4 (ოთხი) რიცხვამდე;

ბ) სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის უფროსი ან მის მიერ ბრძანებით გამოყოფილი უფლებამოსილი პირი, უზრუნველყოფს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შევსებული განცხადებების სათანადო შევსებასა და ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში განთავსებაზე ზედამხედველობას;

გ) იმ ოჯახების მონაცემების საფუძველზე, რომელთა განცხადებები განთავსდა მონაცემთა ბაზაში, არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო სამუშაო კვირის განმავლობაში ფორმირდება საანგარიშო თვის ფულადი დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რეესტრი;

დ) მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის განთავსების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ტერიტორიული ერთეულის უფროსის მიერ ბრძანებით განსაზღვრულ თანამშრომელს.“

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სააგენტოს სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტმა (გ. აფხაზავა) მეთოდური დახმარება გაუწიოს სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის N262 დადგენილებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 19 მაისის N01-31/ნ ბრძანებით და ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში.“

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მეშვეობით, წინამდებარე ბრძანების დაგზავნა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელისმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

